სამართლერბივი დასკვნა

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის“ მიერ მშენებლობის შეჩერების შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესრულების კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ - დადგენილების პროექტის თაობაზე

დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია:

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ.ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის მერი შეიმუშავებს და საკრებულოს მისაღებად წარუდგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტებს.
2. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” მე-16 მუხლის მეორე ნაწილის ,,ნ“ ქვეპუნქტთან, რომლის მიხედვითაც, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობაზე საჯარო ზედამხედველობის განხორცილება.
3. საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 136-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო ვალდებულია მშენებლობის შეჩერების შესახებ დადგენილების მიღების შემდეგ ამ დადგენილების შესრულების კონტროლის მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, არანაკლებ თვეში ერთხელ შეამოწმოს შესაბამისი მშენებლობა.
4. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც ნორმატიული აქტი ძალას კარგავს თუ მიღებულია ნორმატიული აქტი, რომელიც მას ძალადაკარგულად აცხადებს.

იურიდიულიი განყოფილების უფროსი სპეციალისტი: ნინო ვაჩეიშვილი